ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შინაარსი

I. შესავალი 3

II. ხედვა, მისია და მიზნები 4

III. ფილიალის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა 5

- აშშ-ში აღიარებული ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული კვალიფიკაციების მინიჭება 6
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვა 7
- კვალიფიციური უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ადმინისტრაციის თანამშრომლების მოზიდვა 7
- პარტნიორობის დამყარება ვებსტერის უნივერსიტეტის ფილიალებთან და სხვა აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის წახალისების მიზნით 7
- საერთაშორისო კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პრაქტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით 8

IV. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის მექანიზმები 8

V. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის კონტროლი და ანგარიშგება 19

VI. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი 20

I. შესავალი

1915 წლიდან ვებსტერის უნივერსიტეტი მაღალი ხარისხის განათლებას აწვდის ინდივიდებს, რომლებსაც სხვაგვარად შესაძლოა არ ჰქონოდათ ასეთი განათლების მიღების შესაძლებლობა. უნივერსიტეტი ამაყობს თავისი მდიდარი მემკვიდრეობით, რომელიც უკვე შედგება სტუდენტების, ფაკულტეტების, თანამშრომლებისა და კურსდამთავრებულების გლობალური ქსელისაგან და მათი საქმიანობის მიზანია საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მოხდენა მსოფლიოს მასშტაბით.

ვებსტერის უნივერსიტეტის ძირითადი კამპუსი მდებარეობს აშშ-ში, მისურის შტატში, სენტ ლუისში. მაგრამ, უნივერსიტეტს უკვე აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ძლიერი წარმომადგენლობა. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. ამასთანავე, უნივერსიტეტი დაინტერესებული პირებისთვის ქმნის ონლაინ კურსებს მრავალმხრივი და ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად.

მთელი მისი საქმიანობის ისტორიის განმავლობაში, ვებსტერის უნივერსიტეტი დარჩა თავისი სადამფუძნებლო პრინციპების და მისიის ერთგული - სტუდენტებს, მიუხედავად მათი წარმოშობისა და სოციალური მდგომარეობისა, შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისადმი ვებსტერის უნივერსიტეტის დამოკიდებულება აისახა გადაწყვეტილებაში დაეფუძნებინა ფილიალი საქართველოში, რომელიც კავკასიის რეგიონში შეასრულებს ხარისხიანი განათლების ჰაბის ფუნქციას. ვებსტერ უნივერსიტეტი ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ფილიალი) სტუდენტები შეძლებენ აირჩიონ საგანანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის, ბიზნესის, მარკეტინგის, მედიის მიმართულებით და შეიძინონ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც საჭიროა თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში.

ფილიალი მოწოდებულია სტუდენტებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება, რაც აუცილებელია გლობალურ თუ ინდივიდუალურ დონეზე წარმატების მისაღწევად.

II. ხედვა, მისია და მიზნები

ვებსტერის უნივერსიტეტი არის აშშ-ში დაფუძნებული წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომლის ხედვაა დაადგინოს გამორჩეული სტანდარტი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

ვებსტერის უნივერსიტეტის, როგორც მსოფლიო მასშტაბით მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია არის სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზება, რაც ხელს უწყობს გლობალური მოქალაქისა და სრულყოფილი ინდივიდის ჩამოყალიბებას.

ხედვისა და მისიიდან გამომდინარე, ვებსტერის უნივერსიტეტის მიზანია:

- სტუდენტებთან მიმართებით: შეინარჩუნოს ინდივიდუალური მიდგომა გლობალური, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში, რაც მიღწევადია მცირე კლასებით, პროფესორ-მასწავლებლებთან და პერსონალთან მჭიდრო ურთიერთობითა და სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობით;
- სასწავლო პროცესთან მიმართებით: ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, რომელიც აერთიანებს თეორიასა და პრაქტიკას, ხელს უწყობს საერთაშორისო პერსპექტივიდან საკითხების გააზრებას, ახალისებს შემოქმედებითობასა და განსწავლულობას, აღვივებს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და ადგილობრივი საზოგადოებისა თუ მსოფლიოსთვის აქტიური საქმიანობის უწყვეტ სურვილს;
- მრავალფეროვნებასა და ინკლუზიასთან მიმართებით: შექმნას გარემო, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა კულტურის, ასაკისა და სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის ინდივიდებისთვის,

სტუდენტებს გაუჩინოს პატივისცემის გრძნობა მრავალფეროვნების მიმართ და ხელი შეუწყოს საკუთარი და სხვისი ღირებულებების გაცნობიერებაში;

- გლობალურ მოქალაქეობასთან მიმართებით: მრავალფეროვანი მოსახლეობის განათლება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე გარემოსადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბება იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მდგრად მომავალს და გააძლიეროს საზოგადოება.

ვებსტერის უნივერსიტეტის ხედვის, მისიისა და მიზნებიდან გამომდინარე, ფილიალის მისიაა ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება ბიზნესის ადმინისტრირებაში, საერთაშორისო ურთიერთობებსა და მასობრივ კომუნიკაციებში და უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი პირების მომზადება, როგორც საქართველოს, ისე, მსოფლიო შრომის ბაზრისათვის.

III. ფილიალის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

ფილიალის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეფუძნება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს საქართველოში. საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

- ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

ფილიალის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნებია:

- აშშ-ში აღიარებული ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული კვალიფიკაციების მინიჭება

ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ასპექტია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც აღიარებულია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ფილიალი განახორციელებს აშშ-ში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც ხელს შეუწყობს ფილიალის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მობილობას, კვალიფიკაციის ცნობადობას, დასაქმებას და წარმატებას შრომის ბაზარზე.

- უცხოელი სტუდენტების მოზიდვა

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული უცხოელი სტუდენტების მოზიდვასთან. უცხოელი სტუდენტების გარეშე არ არსებობს წარმატებული, მსოფლიოში აღიარებული, მაღალი ხარისხის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამიტომ, ფილიალის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უცხოელი სტუდენტების მოზიდვა.

- კვალიფიციური უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ადმინისტრაციის თანამშრომლების მოზიდვა

კვალიფიციური უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე ადმინისტრაციის თანამშრომლების ჩართვა სასწავლო პროცესში არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი. მხოლოდ ადგილობრივი კადრებით რთულად თუ არის შესაძლებელი ინტერნაციონალიზაცია. ამიტომ, ფილიალი იყენებს თავის ძლიერ მხარეს და სასწავლო პროცესში რთავს უცხოელ, მათ შორის, ვებსტერის ქსელში გაწევრიანებულ პერსონალს.

- პარტნიორობის დამყარება ვებსტერის უნივერსიტეტის ფილიალებთან და სხვა აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის წახალისების მიზნით

საერთაშორისო მობილობა წარმატებული ინტერნაციონალიზაციის მთავარი კომპონენტია. თუმცა, საერთაშორისო მობილობა უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ აგრეთვე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ფილიალი იყენებს დამფუძნებლის, ვებსტერის უნივერსიტეტის რესურსს და ამყარებს ურთიერთობებს სხვა ქვეყნებში არსებულ ვებსტერის უნივერსიტეტის ფილიალებთან და გამორჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

- საერთაშორისო კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პრაქტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით

თანამედროვე მსოფლიოში სტუდნტები ირჩევენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ წარმატებულ საერთაშორისო კომპანიებში დასაქმება. ამიტომ, ფილიალი ქმნის ყველა შესაძლებლობას, რომ სტუდენტებმა შეძლონ გამორჩეულ საერთაშორისო კომპანიებში პრაქტიკის გავლა და დასაქმება.

ფილიალის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების რეალიზების შედეგად:

- კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;
- აკადემიურ პერსონალს საშუალება ექნება აიმაღლოს კვალიფიკაცია, მიიღოს გამოცდილება უცხოეთში და გაუზიაროს ცოდნა ფილიალის სტუდენტებს;
- სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის შედეგად, ფილიალის კამპუსში შეიქმნება მრავალფეროვანი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა უცხოელი და ქართველი სტუდენტების ინტეგრაციას და ცოდნის გაზიარებას;
- საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით, გაჩნდება შესაძლებლობა, სტუდენტებმა მიიღონ ხარისხიანი ამერიკული განათლება საქართველოში.

IV. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის მექანიზმები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი: აშშ-ში აღიარებული ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელება და საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული კვალიფიკაციების მინიჭება

ამოცანები	შესრულების ინდიკატორები
1. საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა	• საქართველოსა და განათლების მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მიღება ინგლისურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ • საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა აკრედიტებულია აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission) მიერ • საგანმანათლებლო პროგრამისთვის აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission)-ის მინიჭებული აკრედიტაცია აღიარებულია საქართველოში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
2. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა	• საქართველოსა და განათლების მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მიღება ინგლისურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ

	• საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა აკრედიტებულია აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission) მიერ • საგანმანათლებლო პროგრამისთვის აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission)-ის მინიჭებული აკრედიტაცია აღიარებულია საქართველოში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
3. მედიის კვლევების/მასს კომუნიკაციების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა	• საქართველოსა და განათლების მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მიღება ინგლისურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ • საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა აკრედიტებულია აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission) მიერ • საგანმანათლებლო პროგრამისთვის აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission)-ის მინიჭებული აკრედიტაცია აღიარებულია საქართველოში სსიპ განათლების ხარისხის

	განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
4. საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა	• საქართველოსა და განათლების მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მიღება ინგლისურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ • საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა აკრედიტებულია აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission) მიერ • საგანმანათლებლო პროგრამისთვის აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission)-ის მინიჭებული აკრედიტაცია აღიარებულია საქართველოში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
5. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა	• საქართველოსა და განათლების მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მიღება ინგლისურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ

	• საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა აკრედიტებულია აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission) მიერ • საგანმანათლებლო პროგრამისთვის აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission)-ის მინიჭებული აკრედიტაცია აღიარებულია საქართველოში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
6. მედიის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა	• საქართველოსა და განათლების მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მიღება ინგლისურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ • საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა აკრედიტებულია აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission) მიერ • საგანმანათლებლო პროგრამისთვის აშშ-ში HLC-ის (Higher Learning Commission)-ის მინიჭებული აკრედიტაცია აღიარებულია საქართველოში სსიპ განათლების ხარისხის

	განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი: უცხოელი სტუდენტების მოზიდვა

ამოცანები	შესრულების ინდიკატორები
1. დასაქმებასა და ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული პროგრამების შეთავაზება	• ფილიალი უცხოეულ სტუდენტებს სთავაზობს პროფესიებს, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. კერძოდ: საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, მედიის კვლევები/მასს კომუნიკაციები • ზემოაღნიშნული კვალიფიკაციების/პროგრამების შეთავაზება ხდება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე
2. ფილიალის კამპუსის განთავსება სტუდენტებისთვის მიმზიდველ ადგილზე და ადგილმდებარეობის პოპულარიზაცია	• ფილიალის კამპუსის განთავსებულია ისეთ ადგილზე, რომელიც მიმზიდველი და მარტივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის

	• კამპუსის ფართით სარგებლობასთან დაკავშირებით გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება შესაბამისი ვადით
3. მოქნილი საგანმანათლებლო პროცესის შეთავაზება	• ფილიალი სტუდენტებს სთავაზობს მოქნილ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს როგორც ონლაინ ისე დასწრებული სასწავლო კურსების შეთავაზებას • სტუდენტებს შეუძლიათ ვებსტერის უნივერსიტეტის ონლაინ რესურსებით, მათ შორის, ონლაინ ბიბლიოთეკით სარგებლობა
4. მიმზიდველი კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შექმნა	• ფილიალი სტუდენტებს უქმნის შესაძლებლობას ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით • ფილიალი სტუდენტებს უქმნის შესაძლებლობას ისარგებლონ რეალური და მიმზიდველი სასწავლო პრაქტიკით
5. მხარდამჭერი გარემოს შექმნა	• კამპუსში არსებული გარემო მორგებულია უცხოელი სტუდენტების საჭიროებებზე

	• კამპუსის ადმინისტრაციული და აკადემიური და მოწვეული პერსონალი კონსულტაციას უწევს უცხოელ სტუდენტებს
6. ვებგვერდის ოპტიმიზაცია	• შექმნილია ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია • ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისთვის
7. ვირტუალური/ონლაინ ტურებისა და შეხვედრების ორგანიზება	• ფილიალი უცხოელი სტუდენტებისთვის ქმნის ვირტუალურ ტურებს/ონლაინ შეხვედრებს და აცნობს საქართველოს ფილიალში სწავლის თავისებურებებსა და პერსპექტივებს
8. ვიდეო კონტენტის შექმნა	• ფილიალი ქმნის ვიდეო კონტენტს იმ მიზნით, რომ უცხოელ სტუდენტებს გააცნოს კამპუსი, სასწავლო პროცესი და პროგრამები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი: კვალიფიციური უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ადმინისტრაციის თანამშრომლების მოზიდვა

ამოცანები	შესრულების ინდიკატორები
1. კვალიფიციური უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვა	• ფილიალის სასწავლო პროცესში ჩართულია უცხოელი, მათ შორის, ვებსტერის ქსელში გაწევრიანებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი • უცხოელი, მათ შორის, ვებსტერის ქსელში გაწევრიანებული აკადემიური პერსონალის შესარჩევად საქართველოს კანონმდებლობითა და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ჩატარებულია კონკურსი
2. კვალიფიციური უცხოელი მოწვეული პერსონალის მოზიდვა	• ფილიალის სასწავლო პროცესში ჩართულია უცხოელი, მათ შორის, ვებსტერის ქსელში გაწევრიანებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი/ლექტორები • უცხოელი, მათ შორის, ვებსტერის ქსელში

	გაწევრიანებული მოწვეული პერსონალის შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობითა და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით
3. კვალიფიციური უცხოელი უცხოელი პირების დანიშვნა მართვის ორგანოებსა და სტრუქტურებში	• ფილიალის მართვის ორგანოებსა და სტრუქტურებში მონაწილეობს კვალიფიციური უცხოელი, მათ შორის, ვებსტერის ქსელში გაწევრიანებული ადმინისტრაციული პერსონალი • კვალიფიციური უცხოელი, მათ შორის, ვებსტერის ქსელში გაწევრიანებული ადმინისტრაციული პერსონალი მართვის ორგანოებსა და სტრუქტურულ ერთეულებში დანიშნულია საქართველოს კანონმდებლობითა და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი: პარტნიორობის დამყარება ვებსტერის უნივერსიტეტის ფილიალებთან და სხვა აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის წახალისების მიზნით

ამოცანები	შესრულების ინდიკატორები
1. პარტნიორობის დამყარება ვებსტერის უნივერსიტეტის ფილიალებთან სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის წახალისების მიზნით	• სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის მაჩვენებელი
2. პარტნიორობის დამყარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის წახალისების მიზნით	• აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულია მემორანდუმები სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის წახალისების მიზნით

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი: საერთაშორისო კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პრაქტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით

ამოცანები	შესრულების ინდიკატორები
1. საერთაშორისო კომპანიების შერჩევა	• პარტნიორული ურთიერთობის დამყარების

	მიზნით მუდმივად ხდება იმ საერთაშორისო კომპანიების შერჩევა, სადაც შესაძლებელია ფილიალის სტუდენტთა პრაქტიკის გავლა ან/და დასაქმება
2. საერთაშორისო კომპანიებთან პარტნიორული უერთიეთობების დამყარება	• წინასწარ შერჩეულ საერთაშორისო კომპანიებთან გაფორმებულია მემორანდუმები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პრაქტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით

V. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის კონტროლი და ანგარიშგება

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის კონტროლსა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ფილიალის ყველა სტრუქტურული ერთეული ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს მისი მოთხოვნისთანავე აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის შესაფასებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის ანგარიშს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, რექტორის მოადგილეს და რექტორს.

რექტორი უფლებამოსილია ინტერნაციონალიზაციის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული საკითხები განიხილოს გენერალურ ასამბლეასთან.

VI. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში შესაძლებელია მხოლოდ სათანადო დასაბუთებით და კანონმდებლობითა და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.